



2023
წელი

მკს გურამ
თავართქილაძის
სახელობის
თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტი

მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის
მექანიზმები და შეფასების სისტემა

შესავალი

- ❖ გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში გთუნი) საქმიანობის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი და შეფასება მიმართულია უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის განხორციელებისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის მართვის ეფექტური და ინოვაციური მეთოდების გამოყენებისა და ხარისხის გაუმჯობესებისაკენ. იგი წარმოადგენს სისტემურ პროცესს, რომელშიც ჩართული არიან მასში მონაწილე სტრუქტურული ერთეულები და ინდივიდები. მონიტორინგისა და შეფასების ობიექტური და ყველა ინდივიდის მონაწილეობითი სისტემა, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობისადმი საზოგადოებრივ ნდობას, საგანმანათლებლო ბაზარზე იმიჯის გამყარებას და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას.
- ❖ მონიტორინგი უკავშირდება სწავლება/სწავლის მთელი პროცესისა და მისი კონკრეტული ამოცანების რეალიზების შემოწმებას. როგორც მართვის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, მონიტორინგი უზრუნველყოფს გთუნის მმართველობითი საქმიანობის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების გამოვლენას და აღმოფხვრას.
- ❖ საჭირო და აუცილებელი ფინანსური სახსრების ფარგლებში უნივერსიტეტის საქმიანობის მართვის ეფექტიანობის რელევანტური შეფასება მოითხოვს სწრაფი, მოქნილი და მონაწილეობითი მიდგომების გამოყენებას.
- ❖ წინამდებარე გთუნი-ს მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმების და შეფასების სისტემის ძირითადი შემადგენლები, რომელსაც ეფუძნება თვით ეს სისტემა და რომლის მიზანია:
 - გთუნი-ს მმართველობითი საქმიანობის (სწავლება/სწავლის მთელი პროცესის განხორციელება) ძირითადი ტენდენციებისა და კონკურენტული უპირატესობების დადგენა;
 - გთუნი-ს საქმიანობაში მართვის ინოვაციური მეთოდების დანერგვა მისი შემდგომი განვითარებისათვის;

I მონიტორინგის მექანიზმი

1. მონიტორინგი გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობის მართვაზე დაკვირვებას და დაკვირვების შედეგების შესახებ თანამშრომლების სისტემატურ ინფორმირებას და რეაგირებაზე კონტროლს. მონიტორინგით მიიღწევა:

ა) გთუნის სტრატეგიული გეგმიდან არსებული „გადახრების“ დროული აღმოჩენა და მათი „გამოსწორება“, როგორც მთლიანად ორგანიზაციის, ისე ცალკეული სტრუქტურებისა და ინდივიდების (თანამშრომელთა) საქმიანობაში.

ბ) ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინფორმირება მათ საქმიანობაში არსებული პრობლემების, მათი გაუმჯობესების საჭიროებების შესახებ. მონიტორინგის არსებობა მუდმივად უბიძგებს თანამშრომლებს საკუთარი სამუშაოს ანალიზისკენ, დასახული მიზნების მიღწევის გზაზე პრობლემების დროულად იდენტიფიცირებისაკენ. ეხმარება თანამშრომელს საკუთარი სუსტი მხარეების (ასეთების არსებობის შემთხვევაში) აღმოჩენასა და გამოსწორებაში.

გ) ჯანსაღი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება - მონიტორინგი გთუნი-ში არ გამოიყენება „დამნაშავეების“ ძიებისა და გამოხშირვის ინსტრუმენტად. გარე და შიდა ცვლადების ზემოქმედების შედეგად მისი საშუალებით შესაძლებელია სწარაფად იქნას დანახული უნივერსიტეტის მართვაში მიმდინარე დადებითი და უარყოფითი ტენდენციები და დროულად მოხდეს მათი გამოსწორება. ჯანსაღი ორგანიზაციული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია მოტივაცია და მისი დანერგვა, მდგრადი საუნივერსიტეტო გარემოს უზრუნველსაყოფად.

II მონიტორინგის ინსტრუმენტები

1. მონიტორინგის ინსტრუმენტები პირობითად სამ დონეზე განიხილება:

- უნივერსიტეტის საქმიანობის მართვის მონიტორინგი
- სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის მართვის მონიტორინგი
- მონიტორინგი ინდივიდუალურ დონეზე

2. უნივერსიტეტის დონეზე საქმიანობის მართვის მონიტორინგი მოიცავს უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურის და მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ფუნქცია-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის მონიტორინგს. (უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და სამსახურის ხელმძღვანელები) ამ დროს დგინდება:

- უნივერსიტეტის მმართველობითი სუბიექტების მართვის ფუნქციების ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობები;
- რამდენად სწორადაა დელეგირებული უნივერსიტეტში მმართველობითი პოზიციები, მათზე გადანაწილებულ პიროვნებათა სპეციალიზაციის, კვალიფიკაციის და მმართველობითი უნარების მიხედვით;

- უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების სისწორე და მიზანმიმართულობა;
- უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის დამოკიდებულება ცლილებების მართვასთან;
- უნივერსიტეტის ძირითადი ფასეულობები და ორგანიზაციული კულტურის დონე(უკუკავშირი -მოტივაცია);
- უნივერსიტეტის მიერ მიღწეული შედეგები

3. სტრუქტურული ერთეულების დონეზე საქმიანობის მართვის მონიტორინგი მოიცავს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების სამუშაოს მონიტორინგს(ფაკულტეტების ადმინისტრაცია და მიმართულების ხელმძღვანელები) და მოიცავს ფაკულტეტებზე მიმდინარე პროცესების შეფასებას. ამ დროს დგინდება:

- რამდენად სწორადაა განაწილებული ფაკულტეტებზე მმართველობითი პოზიციები, მათზე გადანაწილებულ პიროვნებათა სპეციალიზაციის, კვალიფიკაციის და მმართველობითი უნარების მიხედვით;
- ფაკულტეტებზე მართვის ფუნქციების ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობები;
- ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების სისწორე და მიზანმიმართულობა(უკუკავშირ-მოტივაცია);
- ფაკულტეტების ხელმძღვანელობის დამოკიდებულება ცლილებებთან, მათი ინიციატივიანობა და ინოვაციურობა;
- ფაკულტეტის მიერ მიღწეული შედეგები.

4.ინდივიდუალურ დონეზე მონიტორინგის ამოცანაა, უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სტუდენტების კმაყოფილების კვლევა. ამ დროს მნიშვნელოვანია:

- ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაოს შეფასება
- აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასება
- უკუკავშირისა და მოტივაციის ასპექტების შეფასება

III მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განხორციელების ეტაპები:

1.გთუნი-ში მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის და შეფასების სისტემა შემდეგი ეტაპებით ხასიათდება:

- ორგანიზაციული მზადყოფნის შემოწმება;
- მონიტორინგისა და შეფასების დაგეგმვა და განხორციელება;
- მონიტორინგის და შეფასების შესახებ ანგარიშის წარდგენა;
- უკუკავშირი

2.სამივე დონეზე (ორგანიზაციის, სტრუქტურული ერთეულების, ინდივიდუალურ) მონიტორინგი ხასიათდება ზემოდ აღნიშნული ეტაპებით.

IV ორგანიზაციული მზადყოფნის შემოწმება

1. ორგანიზაციულ დონეზე მონიტორინგის მექანიზმის მიზანია გთუნი-ს ორგანიზაციული შესაძლებლობებისა და მის წინაშე მდგომი პრობლემების შესწავლა. **ორგანიზაციული შესაძლებლობები** უზრუნველყოფს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური სისტემის შექმნას.

ორგანიზაციული შესაძლებლობებში განისაზღვრება ის რესურსი, რომელთაც გააჩნიათ:


- მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვის ტექნიკური უნარი;
- მონიტორინგისა და შეფასების სისტემის მართვის უნარი;
- მონიტორინგის და შეფასების სისტემის მხარდაჭერისათვის საჭირო მონაცემთა ბაზების შექმნისა და პროგრამული უზრუნველყოფის უნარი;
- მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განხორციელების ფინანსური სახსრები და გამოცდილება

V მონიტორინგისა და შეფასების დაგეგმვა და განხორციელება


1. მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დაგეგმვა და განხორციელება მხარდაჭერილია გთუნი-ს ადმინისტრაციული მეთოდებით (ბიუჯეტის შედგენა, ადამიანური რესურსების გამოყოფა, შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა, განხორციელება).

2. მონიტორინგის შედეგად ვიღებთ ინფორმაციას, იმის თაობაზე, თუ რას ვაკეთებთ დასახული მიზნის მისაღწევად. შეფასების შედეგად კი საშუალება გვეძლევა გავიგოთ, თუ რამდენად სწორად მივდივართ მიზნისაკენ.

მონიტორინგისა და შეფასების დაგეგმვის ეტაპებია:



მონიტორინგისა და შეფასების განხორციელება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:



მონიტორინგისა და შეფასების განხორციელება უშუალოდ უკავშირდება ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს. ანალიზზე დაყრდნობით ხდება პირველადი დასკვნების გამოტანა. მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების ციკლის დასრულების შემდეგ, პირველადი დასკვნების განხილვა უნდა მოხდეს დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

VI მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის ანალიზი და შეფასების სისტემა

1. მართვის ეფექტიანობის ანალიზისას გამოიყენება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები;

2. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი საინფორმაციო ბაზა:

- სტატისტიკური მინაცემების ანალიზი;
- ნორმატიული მასალების ანალიზი;
- ბიზნეს პროცესების ანალიზი;
- გთუნ-ში დასაქმებულთა გამოკითხვა/ინტერვიუება;
- სტუდენტების გამოკითხვა/ინტერვიუება;
- დამსაქმებლის გამოკითხვა/ინტერვიუება;
- გთუნ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები;

3. შეფასება ხორციელდება გთუნ-ში შემუშავებული საკვანძო ინდიკატორების მიხედვით, რომელიც მოცემულია როგორც გთუნის სტრატეგიაში, ასევე გთუნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტებში(იხ. დანართები);

რაოდენობრივი შეფასებისას გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

N კრიტერიუმი	წლები			
	2019	2020	2021	2022
საუნივერსიტეტო რეიტინგი				
საგანმანათლებლო საქმიანობა				

უნივერსიტეტში არსებული აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა საბაკალავრო პროგრამების რაოდენობა, სამაგისტრო პროგრამების რაოდენობა				
სტუდენტთა რაოდენობა ბაკალავრები მაგისტრანტები				
კურსდამთავრებულები ბაკალავრები მაგისტრანტები				
ჩარიცხული სტუდენტები				
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა				
გაცვლით პროგრამებში ადგილობრივი სტუდენტების რაოდენობა				
გაცვლით პროგრამებში უცხოელი სტუდენტების რაოდენობა სტატუსშეჩერებული სტუდენტები მობილობა(შიდა/გარე)				
სამეცნიერო საქმიანობა ინდექსირებული სტატიები				
სტატიების რაოდენობა ადგილობრივ სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალებში				
სტატიების რაოდენობა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში				
ადგილობრივ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა საზღვარგარეთ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა				
საერთაშორისო გამოცემებში რედაქციების წევრობა				
საერთაშორისო ურთიერთობები				
საერთაშორისო საგრანტო პროექტების რაოდენობა გაცვლითპროექტებში				
ადგილობრივი სტუდენტების რაოდენობა გაცვლით პროექტებში უცხოელი სტუდენტების რაოდენობა				

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ უცხოეთში ჩატარებული ლექციები				
უცხოელი პროფესორების მიერ უნივერსიტეტში ჩატარებული ლექციები				
საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა				
შემოსავლები ძირითადი საქმიანობიდან				
შემოსავლები არაძირითადი საქმიანობიდან				
უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა				
უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული სტუდენტური აქტივობები				
უნივერსიტეტის მიერ პერსონალის მოტივაციაზე დახარჯული თანხები				
უნივერსიტეტის მიერ აკადემიური პერსონალის მოტივაციაზე დახარჯული თანხები				
საზოგადოებრივ განვითარებაზე დახარჯული თანხები				
მარკეტინგული აქტივობები				
ინფრასტრუქტურა				
უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული საერთო ფართი				
სასწავლო ფართი				
სასწავლო ლაბორატორიების ფართი				
სპორტული ნაგებობების ფართი				
სტუდენტზე კომპიუტერის რაოდენობა				
მანქანა მოწყობილობები				
ბიბლიოთეკის ფართი				
საბიბლიოთეკო ფონდი: ბეჭდური წიგნების რაოდენობა, ელ. წიგნების რაოდენობა				
შრომითი მოწყობა				
დასაქმებული კურსდამთავრებულები				
სპეციალობით დასაქმებული კურსდამთავრებულები				
ადამიანური რესურსი				

უნივერსიტეტში მომზავე პერსონალი				
აკადემიური პერსონალი				
აფილირებული აკადემიური პერსონალი				
პერსონალი რომლის მიმართ გამოყენებულ იქნა მოტვაციის/წახალისების ფორმები: პრემია, ფულადი ჯილდო, მადლობა და ა.შ.				
აკადემიური პერსონალი რომლის მიმართ გამოყენებულ იქნა მოტვაციის/წახალისების ფორმები: პრემია, ფულადი ჯილდო, მადლობა და ა.შ.				

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგების საფუძველზე, საბოლოო შეფასებისას გამოიყენება შეფასების საბალო მეთოდი, რომელიც ხარისხის ხუთბალიანი სისტემით განისაზღვრება:

4 ზე მეტი - 5 ქულა	გთუნის საქმიანობის მართვა ხასიათდება სტაბილურობით, მართვის ეფექტიანობა მიღწევადია
3 ზე მეტი - 4 ქულა	გთუნის საქმიანობა ხასიათდება მცირე ხარვეზებით რომლების საჭიროებენ გამოსწორებას
2 ზე მეტი - 3 ქულა	გთუნის საქმიანობის მართვაში ცალკეული მიმართულებებით არსებობს ხარვეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით საჭიროა კონკრეტული ღონისძიებების გატარება/ზომების მიღება
1 ზე მეტი - 2 ქულა	გთუნის საქმიანობის მართვაში იკვეთება არსებითი პრობლემები რომელთა გამოსასწორებლად საჭიროა მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება
0 ზე მეტი - 1 ქულა	გთუნის საქმიანობის მართვის შედეგი ვერ უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას და საჭიროებს რადიკალურ ცვლილებებს და ქმედითი ღონისძიებების გატარებას.

VII მონიტორინგისა და შეფასების შესახებ ანგარიშის წარდგენა

ანგარიშის წარდგენა მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. ანგარიში განკუთვლილია ყველა დაინტერესებული მხარისათვის. ის ნათელი, თვალსაჩინო და მარტივად საკითხავია(აღსაქმელი). მონიტორინგისა და შეფასების შესახებ ანგარიში მოიცავს ობიექტურ ინფორმაციას გთუნის საქმიანობის (ბიზნეს პროცესების განხორციელების) როგორც

დადებითი შედეგების, ასევე ნაკლოვანებების/ხარვეზებისა და ტენდენციების შესახებ. იგი გვიჩვენებს გრეთვე ნაკლოვანებების/ხარვეზების აღმოფხვრის საშუალებებსა და გზებს.

VIII უკუკავშირი

უკუკავშირი მონიტორინგისა და შეფასების შეფასების დასკვნითი ეტაპია. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებისა და რეკომენდაციების განხილვა ხდება ყველა დაინტერესებულ მხარესთან. პროცესის დასრულების შემდეგ ხდება შედეგებზე რეაგირება, რეკომენდაციების იმპლიმენტაცია, რის შედეგადაც შესაძლებელია როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდებში გთუნის საქმიანობის მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება და განვითარება.

IX მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების განმახორციელებლები

მართვის ეფექტიანობის მონიტორინგსა და შეფასებას ახდენს გთუნის რექტორის მიერ შექმნილი ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფში მონაწილეობ შეუძლიათ მოწვეულ პირებსაც(დამსაქმებელი).

X. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმებისა და შეფასების სისტემის ამოქმედება

მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმებისა და შეფასების სისტემა ამოქმედდეს წინამდებარე დოკუმენტის დამტკიცებისთანავე. მისი გახორციელება მოხდეს ყოველწლიურად.

დანართი 1

გთუნის საქმიანობის შეფასება

#	ინდიკატორები	შეფასება				
		1	2	3	4	5
1	რამდენად იცნობთ თქვენს უფლებას მოვალეობებს					
2	შეესაბამება თუ არა თქვი უფლება-მოვალეობები თქვენს მიერ შესრულებულ სამუშაოს					
3	რამდენად სწორადაა თქვენს ხელშეკრულებაში თქვენი					

	უფლება მოვალეობები ასახული					
4	რამდენად იცავს გთუნი პერსონალის უფლებებს და ინტერესებს					
5	რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი ანაზღაურებით					
6	რამდენად კმაყოფილი ხართ სტიმულირების იმ მექანიზმებით რომელსაც იყენებს გთუნი პერსონალის მოტივაციისათვის					
7	რამდენად ხშირად იყენებს გთუნი პერსონალის მოტივაციის ასპექტებს					
8	როგორია მუშაობის პირობები გთუნი-ში					
9	როგორია ფიზიკური ინფრასტრუქტურა გთუნი-ში (ბიბლიოთეკა, ტექნიკური უზრუნველყოფა, ინტერნეტ რესურსები, მართვის ელექტრონული სისტემა, ელექტრონული ბაზები, რეკრეაციული სივრცე)					
10	რამდენად კომფორტულია შესვენების გატარება გთუნი-ში					
11	რამდენად კომფორტულადაა მოწყობილი აუდიტორიები ლექციების ჩასატარებლად					
12	უსაფრთხ რამდენად ო დაესთეტიკური გარემოა გთუნი-ში(დერეფნები, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, უსაფრთხოების ნორმები, სასადილო/კაფეტერია)					
13	უზრუნველყოფილი სტუდენტთათვის რამდენად ა ს უწყვეტი განათლების სისტემა გთუნი-ში					
14	უზრუნველყოფილი რამდენად ა პერსონალისთვის უწყვეტი განათლების სისტემა გთუნი-ში					
15	რამდენად უზრუნველყოფს გთუნი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების/განვითარების					

	ხელშეწყობას					
16	რამდენად უზრუნველყოფს გთუნი აკადემიური პერსონალის საერთაშორისო აქტივობების/განვითარების ხელშეწყობას					
17	რამდენად იცნობთ გთუნი-ს მისიას					
18	რამდენად იცნობთ გთუნი-ს სამოქმედო გეგმას					
19	რამდენად იღებთ მონაწილეობას გთუნის მისიის შემუშავებაში					
20	რამდენად იღებთ მონაწილეობას გთუნის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში					
21	რამდენად იცნობთ უნივერსიტეტის ხარისხის მუშაობის სისტემას					
22	რამდენად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური პროგრამების განვითარებას					
23	რამდენად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური ახალი პროგრამების შემუშავება/განვითარებას					
24	რამდენად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური ხარისხი უცხოური უნივერსიტეტების ს სამსახურებთან ჩართულობა/ინტერნაციონალიზაცია					
25	იცნობთ თა არა გთუნი-ს მონიტორინგის მექანიზმს					
26	რამდენად ხართ ჩართული გთუნი-ს მონიტორინგის განხორციელებაში					
27	რამდენად ახორციელებს გთუნი მონიტორინგის მექანიზმს					
28	რამდენად რეაგირებს გთუნი მონიტორინგის შედეგებზე					
29	რამდენად ახორციელებს გთუნი ცვლილებებს					

30	რამდენად მისაღებია ადმინისტრაციის მიერ პერსონალთან კომუნიკაცია					
31	რამდენად ღიაა კომუნიკაცია					
32	რამდენად სწორად, ეფექტურად ხდება პერსონალის საქმიანობის შეფასება					
33	როგორ აფასებთ უნივერსიტეტის მიერ გადაწყვეტილებების მიღების შედეგიანობას					

თქვენი მოსაზრებები:

რას შეცვლიდით გთუნი-ში

დანართი 2

სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შეფასება

		შეფასება				
#	ინდიკატორები	1	2	3	4	5
1	რამდენად სწორადაა განაწილებული ფაკულტეტზე მართველობითი პოზიციები?					
2	შეესაბამება თუ არა თქვი უფლება-მოვალეობები თქვენს მიერ დაკავებულ პოზიციას/შესრულებულ სამუშაოს					
3	რამდენად იცავს ფაკულტეტი პერსონალის უფლებებს და ინტერესებს					
4	რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი ანაზღაურებით					
5	რამდენად მონაწილეობს ფაკულტეტი პერსონალის სტიმულირებაში					
6	რამდენად მონაწილეობს ფაკულტეტი სტუდენტების სტიმულირებაში					
7	როგორია მუშაობის პირობები ფაკულტეტზე					
8	რამდენად კომფორტულია შესვენების გატარება ფაკულტეტზე					
9	რამდენად იცნობთ ფაკულტეტის მისიას					
10	რამდენად იცნობთ ფაკულტეტის სამოქმედო გეგმას					
11	რამდენად იღებთ მონაწილეობას ფაკულტეტის მისიის შექმნაში					
12	რამდენად იღებთ მონაწილეობას ფაკულტეტის სამოქმედო გეგმის შექმნაში					

1 3	რამდენად ახორციელებს ფაკულტეტის მონიტორინგის მექანიზმს					
1 4	იცნობთ თუ არა ფაკულტეტის მონიტორინგის სისტემას					
1 5	რამდენად ხართ ჩართული ფაკულტეტის მონიტორინგის განხორციელებაში					
1 6	რამდენად რეაგირებს ფაკულტეტი მონიტორინგის შედეგებზე					
1 7	რამდენად ახორციელებს ფაკულტეტი ცვლილებებს					
1 8	რამდენად სწორად ხორციელდება სასწავლო პროგრამები					
1 9	რამდენად ხორციელდება სასწავლო პროგრამების შეფასება					
2 0	იღებთ თუ არა მონაწილეობას სასწავლო პროგრამების შემუშავებაში					
2 1	რამდენად რეაგირებს სასწავლო პროგრამების ცვლილებებზე ფაკულტეტის დეკანი					
2 2	რამდენად ხორციელდება დამსაქმებელთან ურთიერთობა და პრაქტიკის უზრუნველყოფა ფაკულტეტზე					
2 3	რამდენად ხორციელდება დამსაქმებლის მიერ სასწავლო პროგრამების შემუშავება-განვითარებაში ჩართვა					
2 4	რამდენად მისაღებია ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ პერსონალთან კომუნიკაცია					
2 5	რამდენად მისაღებია ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ სტუდენტებთან კომუნიკაცია					
2 6	რამდენად ღიაა კომუნიკაცია					
2 7	რამდენად დროულად იღებთ ინფორმაციას ფაკულტეტზე მიმდინარე პროცესების შესახებ					
2 8	იცნობთ თუ არა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სისტემას					
2 9	როგორ შეაფასებდით ხარისხის საქმიანობას ფაკულტეტზე					

3	რამდენად სწორად/ობიექტურად ხდება პერსონალის					
0	საქმიანობის ხარისხის შეფასება					
3	როგორ შეაფასებდით ფაკულტეტის მიერ					
1	გადაწყვეტილებების მიღების შედეგიანობას					

თქვენი მოსაზრება:

რას ისურვებდით ფაკულტეტის საქმიანობის გასაუმჯობესებლად:

დანართი 3

აკადემიური პერსონალის კმაყოფილების შეფასება

#	ინდიკატორები	შეფასება				
		1	2	3	4	5
1	უზრუნველყოფ რამდენად ს გთუნია აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას					
2	უზრუნველყოფ რამდენად ს გთუნია აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში ჩართვას					
3	უზრუნველყოფ რამდენად ს გთუნია აკადემიური პერსონალის კვალიფიკციის ამაღლებას/სტაჟირებას					
4	რამდენადაა შესაძლებელი სწავლების პროცესში					

	ელ. სასწავლო მასალის გამოყენება					
5	ხელშეწყობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან					
6	ხელშეწყობა ფაკულტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან					
7	ხელშეწყობა ფაკულტეტის ხარისხის ა უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან					
8	თქვენი მონაწილეობა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში					
9	ფაკულტეტის რეაგირება/უკუკავშირი აკადემიური პერსონალის მოსაზრებებზე					

თქვენი მოსაზრებები

დამატებით:

დანართი 4

სტუდენტთა კმაყოფილების შეფასება

			შეფასება			
#	ინდიკატორები	1	2	3	4	5
1	რამდენად უზრუნველყოფს გთუნი სტუდენტების პროფესიულ განვითარებას					
2	რამდენად უზრუნველყოფს გთუნი სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართვას					
3	რამდენადაა შესაძლებელი სწავლების პროცესში ელ. სასწავლო მასალის გამოყენება					
4	რამდენად იცნობთ სასწავლო პროგრამებს					
5	როგორ შეაფასებთ ფაკულტეტის მომსახურებას					
6	რამდენად დროულად და სრულყოფილად ხდება თქვენთვის საჭირო ინფორმაციის მოწოდება ფაკულტეტის(კონსულტაციები, ახალი მასალის გაცნობა პრაქტიკასა და სტაჟირებაზე და სხვა)					
7	ხელშეწყობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან					
8	ხელშეწყობა ფაკულტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან					
9	ხელშეწყობა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან					
10	თქვენი მონაწილეობა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში					
11	ფაკულტეტის/კათედრების რეაგირება/უკუკავშირი აკადემიური პერსონალის მოსაზრებებზე					

თქვენი მოსაზრებები დამატებით: